ბრძანება:**ბ24.24213195**
თარიღი:**15/11/2021**

„EU4CULTURE“- ს კონკურსში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამარჯვების საფუძველზე, კულტურის სტრატეგიის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხებისა და აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს გოეთეს ინსტიტუტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის 2021 წლის 11 ნოემბრის N08-2421315132 და 12 ნოემბრის N08-2421316193 მომართვის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „EU4CULTURE“- ს კონკურსში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამარჯვების საფუძველზე, კულტურის სტრატეგიის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხებისა და აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს გოეთეს ინსტიტუტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

· კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

· მარიკა ხასია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე (პროექტის კოორდინატორი);

· ლაშა ჯიქია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი (პროექტის კოორდინატორის ასისტენტი კულტურის მიმართულებით);

· როლეტა ქობალია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების უფროსის ფუნქციების

დროებით შემსრულებელი - სამუშაო ჯგუფის წევრი (სამუშაო ჯგუფის პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის მენეჯერი);

- შორენა ჩერქეზია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი (სამუშაო ჯგუფის პროექტის ლოჯისტიკის მენეჯერი);
- სალომე ქობალია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის სახაზინო მომსახურებისა და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი (სამუშაო ჯგუფის პროექტის ფინანსური მენეჯერი);

2. დაევალოს სამუშაო ჯგუფს „EU4CULTURE“-ს კონკურსში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამარჯვების საფუძველზე, კულტურის სტრატეგიის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხებისა და აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს გოეთეს ინსტიტუტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების შესრულების საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

3. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა განახორციელოს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილემ.

4. სამუშაო ჯგუფმა მუშაობა დაასრულოს ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

5. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 54-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი” 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

კონსტანტინე კაკავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი